



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

**კრებული**

**СБОРНИК**

**ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ**

*Министерства просвещения Грузинской ССР*

F-171

964

7

თბილისი

F-2.811

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 13 ივნისის ბრძანება № 633

### ნორჩ მათემატიკოსთა მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების შესახებ

აღნიშნავ, რომ 1963—1964 სასწავლო წელს ნორჩ მათემატიკოსთა VIII ოლიმპიადა ორგანიზებულად ჩატარდა.

ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. სასკოლათაშორისო ტურში მონაწილეობა მიიღო 20060 მოსწავლემ, აქედან პირველ სარაიონო (საქალაქო) ტურში—7900-მა; პირველ ტურში დაშვებულ მოსწავლეთაგან გაიმარჯვა და მეორე ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 180-მა.

ნორჩ მათემატიკოსთა VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეთა შორის განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს თბილისის 42-ე, 28-ე, 37-ე, 43-ე, 117-ე, 66-ე, ყვარლის მე-2 და ახმეტის რაიონის ქვემო აღვანის საშუალო სკოლებმა.

სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს თბილისის მე-16, 34-ე, 92 ე, 96-ე, ქ. ქუთაისის მე-17, მე-19, 23-ე, ცხაკაიას მე-4, ცხინვალის მე-4 და სხვა რაიონებისა და ქალაქების სკოლებიდან წარმოგზავნილმა მოსწავლეებმა.

ვერ დააგროვეს საჭირო რაოდენობის ქულები და არ იყვნენ დაშვებულნი მეორე ტურზე საგარეჯოს, ლენინგორის, ზნაურის, ჯავის, ხულოს რაიონების მოსწავლეები.

აღსანიშნავია, რომ 1000-ზე მეტი მერვეკლასელი მოსწავლიდან, რომლებიც პირველ ტურში მონაწილეობდნენ, ვერცერთმა ვერ მოიპოვა მეორე ტურში მონაწილეობის უფლება.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

ნორჩ მათემატიკოსთა VIII ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნენ

ა) პირველი ხარისხის სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით:

1. ცეიტლინი დავით იოსების ძე—თბილისის 66-ე საშ. სკოლის X კლ. მოსწ.



2. სამსონაძე გურამ ტიტეს ძე—თბილისის 42-ე საშ. სკოლის IX კლ. მოსწ.

3. მინიკინი ლეონიდ იზრაელის ძე—თბილისის 42-ე საშ. სკოლის IX კლ. მოსწ.

ბ) მეორე ხარისხის სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით:

1. ლაგვილავა ედემი ტერენტის ძე—თბილისის 42-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

2. რაქვიაშვილი გიორგი გიორგის ძე—თბილისის 117-ე საშ. სკოლის VII კლ. მოსწავლე

3. ხუციშვილი ვიქტორ ვასილის ძე—თბილისის 37-ე საშ. სკოლის VI კლ. მოსწავლე

4. ხეოლესი როზა ალექსანდრეს ასული—თბილისის 42-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

გ) ქების სიგელით:

1. ბროკვინა ირინა გიორგის ასული—თბილისის 42-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწ.

2. მელამედი იოსებ ალექსანდრეს ძე—თბილისის 42-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

3. რიტვინსკი იური ვლადიმერის ძე—თბილისის 42-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

4. ტელეშევა ვალენტინა ივანეს ასული—თბილისის 42-ე საშ. სკოლის IX კლ. მოსწავლე

5. ქადეიშვილი თორნიკე ვასილის ძე—თბილისის 42-ე საშ. სკოლის IX კლ. მოსწავლე

6. ქინქლაძე გია ნიკოლოზის ძე—თბილისის 42-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

7. ჯანიაშვილი მერაბ ალექსანდრეს ძე—თბილისის 42-ე საშ. სკოლის IX კლ. მოსწავლე


8. მამაცაშვილი არჩილ ბორისის ძე—თბილისის 28-ე საშ. სკოლის X კლ. მოსწავლე

9. პრეის იზრაილ რაფიელის ძე—თბილისის 43-ე საშ. სკოლის XI კლ. მოსწავლე

10. ნეშუმაშვილი სიმონ ალექსანდრეს ძე—ყვარლის მე-2 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

11. წვერაიძე ლუხუშ ნიკოლოზის ძე—ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშ. სკოლის XI კლ. მოსწავლე

1. ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისა და სისტემატური დახმარების გაწევისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე



ნიშნით: ნ. ლომჯარია—ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის დოცენტი; ა. გამაზლიძე თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

2. მიზანშეწონილად იქნას ცნობილი 1964—65 სასწავლო წლიდან ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადების გაერთიანებული ჩატარება; ამ მიზნით ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურთან შეიქმნას ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი.

3. დაევალოს სკოლების სამმართველოს (დ. ჯაფახია) წარმომადგენლის კოლეგიაზე დასამტკიცებლად ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება და საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა.

**ხაფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 12 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 15 ივნისის ბრძანება № 636

სსრკ ხალხთა 1963 წლის III სპარტაკიადაზე საქართველოს სსრ სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგებისა და რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების შესახებ

შემდგომმა ორგანოებმა 1964 წლის 12 მაისს მიიღეს დადგენილება სსრკ ხალხთა 1963 წლის III სპარტაკიადაზე საქართველოს სს რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგებისა და რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა, ასრულებენ რა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დარგში, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

რესპუბლიკის სპორტულმა დელეგაციამ სსრკ ხალხთა III სპარტაკიადაზე საერთო მეხუთე ადგილი დაიკავა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჯილდო მოიპოვა.

ამ ადგილისათვის საჭირო საერთო ქულათა მოპოვებაში გარკვეული წვლილი შეიტანა რესპუბლიკის მოსწავლეთა კოლექტივმა, რომელმაც ქ. ვოლგოგრადში მოსწავლეთა IX საკავშირო სპარტაკიადაზე საერთო მეოთხე ადგილი დაიკავა და 28 ოქროს, 9 ვერცხლის და 17 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

იმ მიღწევებთან ერთად, რაც რესპუბლიკას გააჩნია სპორტული მუშაობის დარგში, სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სპარტაკიადებმა გამოავლინეს არსებითი ნაკლოვანებანი

მასობრივ-ფიზკულტურული და სასწავლო-სპორტული მუშაობის დაყენებასა და ორგანიზაციაში. რესპუბლიკაში სერეოზულად ჩამორჩება სპორტის ისეთი სახეების განვითარება, როგორც მძლეოსნობა, ცურვა, სროლა, ველო და სხვა. სპორტულ სექციებში არასაკმარისად არის ჩაბმული რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობის ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კი — ქალები.

დადგენილებაში სხვა ნაკლოვანებებთან ერთად აღნიშნულია, რომ განათლების სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები მოზარდი თაობის სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღებას უთმობენ ფიზიკური აღზრდის საკითხებს.

ზემდგომი ორგანოების 1964 წლის 12 მაისის დადგენილების „სსრკ ხალხთა 1963 წლის III სპარტაკიადაზე საქართველოს სსრ სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგებისა და რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ შესასრულებლად,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) არსებითად გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის დაყენებაზე სკოლებში, ამაღლონ სკოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა მუშაობაზე, მიაღწიონ იმას, რომ მეცადინეობა ფიზიკურ კულტურაში როგორც სასწავლო, ისე კლასგარეშე მუშაობის დროს მიმდინარეობდეს ორგანიზებულად და მაღალ მეთოდურ დონეზე.

ფიზიკური აღზრდის დარგში სკოლებისადმი კონტროლისა და კვალიფიციური მეთოდური დახმარების გაწევის საქმეში ფართოდ გამოიყენონ საზოგადოებრივ ინსპექტორთა აქტივი ფიზკულტურის მოწინავე მასწავლებელთაგან;

ბ) განახორციელონ ღონისძიებანი სკოლებთან არსებული სასპორტო ბაზების განსამტკიცებლად და გასაფართოებლად; 1964 და 1965 წლებში, იმ სკოლებთან, რომლებსაც არ გააჩნიათ სპორტული ბაზები, აწარმოონ სპორტული კლასების (დარბაზების) მიშენება კაპიტალური რეშონტისათვის გამოყოფილი სახსრების

ხარჯზე, აგრეთვე დააყენონ საკითხი მშრომელთა დეპუტატების აღმასკომების წინაშე ამ მიზნისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის ჭარბშემოსავლიდან თანხების გამოყოფის შესახებ; ახალი სსრკ-ის მუშაობების აგების დროს ზუსტად დაიცვან სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის წესი;

გ) სრულ წესრიგში მოიყვანონ სკოლებთან არსებული სპორტული მოედნები, აქტიურად ჩააბან ამ საქმეში მოსწავლენი და ფართოდ გამოიყენონ საშეფო ორგანიზაციების დახმარება;

დ) მიიღონ ზომები სკოლების სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფისათვის.

2. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) და ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტმა (გ. მერკვილაძე) საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად მიმდინარე წლის 1-ლ ივლისამდე შეიმუშაოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად ბავშვთა ახალი სპორტული სკოლების გახსნისა და არსებულ ბავშვთა სპორტულ სკოლებთან სასწავლო ჯგუფების რაოდენობის გაზრდის შესახებ მოსწავლეთა მოსამზადებლად სპორტის ყველა იმ სახეში, რომელიც შედის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში მოზრდილთათვის.

3. კომისიამ შემადგენლობით: ამხ. ამხ. მ. ქოჩაკიძე, ვ. ჩინჩალაძე, ა. კვაჭაძე და გ. მერკვილაძე, საქ. სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად, მიმდინარე წლის 25 ივნისამდე შეისწავლოს და მოამზადოს საკითხი საქ. სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში წარსადგენად ბაკურიანში სპორტული განხრით სკოლა-ინტერნატის გახსნისა და ამ მიზნით მშენებელთა დასახლების საცხოვრებელი სახლებისა და დამხმარე შენობათა გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

4. ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა (გ. მერკვილაძე), სკოლა-ინტერნატებისა და სპეცსკოლების სამმართველოსთან ერთად (ვ. ჩინჩალაძე) მიმდინარე წლის 1-ლ ივლისამდე წარმოადგინოს წინადადებანი სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებთან საზოგადოებრივ საწყისებზე სპორტული კლუბების შექმნის შესახებ.

5. ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა (გ. მერკვილაძე) შეიმუშაოს ღონისძიებანი ბავშვთა სპორტული სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, აამაღლოს მათი რო-

ლი სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივებისადმი დახმარების  
გაწევის საქმეში; წარმოადგინოს წინადადებანი საზოგადოებრივი  
საწყისებზე სპორტული სკოლების შექმნის შესახებ იმ ანგარიშით,  
რომ 1965 წლის ბოლოსათვის ბავშვთა სპორტულ სკოლებში მო-  
მეცადინე მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდოს მე-8-11 კლასების  
მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 15%-მდე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964  
წლის 12 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი



## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 15 ივნისის ბრძანება № 638

### დაწყებითი კლასების თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოებითა და დიდაქტიკური მასალით უზრუნველყოფის შესახებ

განათლების სამინისტროში არსებული და ადგილებიდან მიღებული მასალებიდან ირკვევა, რომ რესპუბლიკის დაწყებითი კლასები ძალზე ცუდადაა მომარაგებული იარაღ-მოწყობილობითა და სასწავლო ხელსაწყოებით. ასე, მაგალითად, 1892 დაწყებითი სკოლიდან სასკოლო საანგარიშე აქვს 980-ს; 1244 რვაწლიანი სკოლიდან—943-ს; 1125 საშუალო სკოლიდან—813-ს, ამრიგად 4273 სკოლიდან 1537 სკოლას არ გააჩნია სასკოლო საანგარიშე.

ართემეტიკული ყუთი 1892 დაწყებითი სკოლიდან აქვს 1481-ს; 1244 რვაწლიანი სკოლიდან—674-ს; 1125 საშუალო სკოლიდან—629-ს სულ 4273—სკოლიდან ართემეტიკული ყუთი აქვს მხოლოდ 2784-ს, დანარჩენს ასეთი არ გააჩნია.

გეოგრაფიული გლობუსი 1892 დაწყებითი სკოლიდან აქვს 1042-ს, 1244 რვაწლიანი სკოლიდან—884-ს; 1125 საშუალო სკოლიდან—699-ს; 4273 სკოლიდან კომპასი აქვს მხოლოდ 1667-ს და ა. შ.

აღნიშნული გარემოება გამოწვეულია იმით, რომ სკოლების ხელმძღვანელები და განათლების განყოფილებათა გამგეები უყურადღებოდ ტოვებენ ამ ფრიად მნიშვნელოვან უბანს და ხელს არ უწყობენ სკოლებს, განსაკუთრებით დაწყებით კლასებს, სასწავლო ხელსაწყო-იარაღებითა და დიდაქტიკური მასალებით მომარაგების საქმეში, მაშინ როდესაც ყოველწლიურად სასწავლო კაბინეტები ივსება დიდძალი თანხის ახალი იარაღ-მოწყობილობით, მათ შორის, ძვირფასი დანადგარებითა და მაღალფასიანი მუსიკალური ინსტრუმენტებით.

ხშირად ამ მიზნისათვის გათვალისწინებული ცენტრალიზებული თანხები ადგილობრივი განათლების განყოფილებათა მიერ არასწორად ნაწილდება.

თვალსაჩინო ხელსაწყოებით დაწყებითი სკოლების უზრუნველყოფის მიზნით,

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) საფუძვლიანად შეისწავლონ დაწყებითი სკოლების თვალსაჩინო ხელსაწყოებით მომარაგების მდგომარეობა და მიიღონ ზომები იმისათვის, რომ ორი წლის განმავლობაში ყველა დაწყებითი სკოლა უზრუნველყონ აუცილებელი ხელსაწყო-იარაღითა და დიდაქტიკური მასალით;

ბ) ზოგიერთ სკოლაში ჭარბად არსებული თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები და დიდაქტიკური მასალა გადაანაწილონ ისეთ სკოლებზე, რომელთაც ასეთები არ გააჩნიათ;

გ) ცენტრალიზებული თანხების განაწილების დროს გაითვალისწინონ ყველა დაწყებითი სკოლა, განსაკუთრებით ისეთები, რომლებსაც არა აქვთ საჭირო სათვალსაჩინო მასალა;

დ) ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ყოველი წლის 15 სექტემბრისათვის.

2. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ა. კვაჭაძე) დაწყებითი სკოლების საჭირო ხელსაწყო-იარაღებით მომარაგების უზრუნველყოფისათვის დროულად დაუშვას ცენტრალიზებული თანხები.

3. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (უფროსი ს. არველაძე) შემოზიდოს დაწყებითი სკოლებისათვის საჭირო თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები და დიდაქტიკური მასალები იმ ვარაუდით, რომ ორი წლის განმავლობაში მით უზრუნველყოფილი იქნეს ყველა დაწყებითი სკოლა.

4. სკოლების სამმართველომ (უფროსი დ. ჯავახია) თვალყუერი ადგენოს ამ ბრძანების შესრულებას და შედეგები ყოველი წლის ნოემბერში მოახსენოს კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 22 ივნისის ბრძანება № 677

თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებთან არსე-  
ბული მუსიკალური ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო აღნიშნავს, რომ  
უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაიზარდა მუსიკალური ჯგუფების  
ქსელი.

დღეისათვის ასეთი ჯგუფები, გარდა თბილისის 58 საშუალო  
სკოლისა, გახსნილია სოფლებისა და რაიონული ცენტრების, ქა-  
ლაქების 200-მდე სკოლაში.

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს პირველ, 23-ე, 24-ე,  
87-ე, მე-5, 50-ე 39-ე, 103-ე მე-60, 43-ე, 117-ე, და სხვა სკოლებ-  
მა. აღნიშნულ სკოლებში პედაგოგებად მოწვეულნი არიან მაღალ-  
კვალიფიციური სპეციალისტები, შექმნილია საგნობრივი მეთოდ-  
გაერთიანებები, რომლებიც სისტემატურად მუშაობენ მასწავლე-  
ბელთა პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებაზე. აღნიშნული სკო-  
ლების სისტემატურად იღებენ მონაწილეობას მუსიკალური ჯგუფე-  
ბის საქალაქო დათვალეირებაში, მონაწილეობენ კონკურსში და  
მათი მოსწავლეები აღწევენ კარგ შედეგებს, სისტემატურად ეწყო-  
ბა დახურული და ღია კონცერტები, საკონტროლო გასინჯვები,  
კარგ მდგომარეობაშია დოკუმენტაცია, ფინანსური მეურნეობა  
და სხვა.

თბილისის მუსიკალურ ჯგუფებში მეთოდისტ-კონსულტანტე-  
ბად და მასწავლებლებად მოვიდნენ გამოცდილი და მცოდნე სპეცია-  
ლისტები: პროფესორი მადლენა ევთიშვილი, დოცენტები: ტატიანა  
გოლდფარბი, ელენორა ექსანიშვილი, გივი სვანიძე; პედაგო-  
გები ნიკოლოზ მისანიკოვი, მარიამ აგლაძე, ილარიონ ჭეიშვილი,  
თამარ დეკანოზიშვილი და სხვა. ჯგუფებში კარგი მუშაობით გა-  
მოვლიდნენ სასწავლო ნაწილის გამგეები: ი. ჯოხაძე (პიონერთა  
სასახლე), გ. ბზვანელი (23-ე სკოლა), ს. ცინცაძე (87-ე სკოლა),  
ს. ფოტინოვა (50-ე სკოლა), მ. ნიჟარაძე (39-ე სკოლა), ნ. სავე-  
ლიევი (103-ე სკოლა) და სხვა. ახალგაზრდა პედაგოგები: ზ. გორ-

გოშიძე (პიონერთა სასახლე), გ. კობიაშვილი (23-ე სკოლა),  
ლ. წურჭავაძე, რ. ჩხეიძე (1 სკოლა) და სხვა.

შიუხედავად ამ მიღწევებისა მუსიკალური ჯგუფების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. თბილისის მე-7 (სასწავლო ნაწილის გამგე გ. ნასიძე), მე-14 (სასწავლო ნაწილის გამგე ნ. ტალახაძე), 41-ე (სასწავლო ნაწილის გამგე დ. ბურგმანი), 46-ე (სასწავლო ნაწილის გამგე მ. მუმლაძე), 51-ე (სასწავლო ნაწილის გამგე ე. წულეისკირი), 62-ე (სასწავლო ნაწილის გამგე ვ. დვალი) სკოლების მუსიკალურ ჯგუფებში სათანადოდ ვერ არის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მოგვარებული, არ მუშაობენ საგნობრივი მეთოდკომისიები, არ არის სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტები, არ ხდება გაკვეთილების მოსმენა და გაანალიზება; არ არის შექმნილი ან არ მუშაობენ მშობელთა კომიტეტები, პედაგოგების საგრძნობ ნაწილს არა აქვს სათანადო ცენზი და კვალიფიკაცია; მოსწავლეები ჩამორჩენილი არიან პროგრამული მასალის გავლაში, დაქვეითებულია შრომის დისციპლინა.

სასწავლო ნაწილის გამგეები არ ატარებენ სათანადო მუშაობას, რის გამოც ზოგიერთი მასწავლებელი უგულბებლყოფს გეგმების, ცხრილებისა და სხვა დოკუმენტების შედგენას.

რაიონის განათლების განყოფილებები ჯერ კიდევ ცოტა დროს უთმობენ სკოლების მუსიკალური ჯგუფების მუშაობის საკითხებს. სუსტად ტარდება საქალაქო მასშტაბით მეთოდმუშაობა, სემინარები და სხვა ღონისძიებები.

დღემდე მუსიკალური ჯგუფები უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო დოკუმენტაციით (ჟურნალებით, დღიურებით, პირადი საქმეებით).

არ არის შექმნილი აგრეთვე მუსიკალური ჯგუფების სტაბილური პროგრამები.

ამჟამად მოქმედი მუსიკალური ჯგუფების დებულება მოძველდა და ვეღარ პასუხობს ახლად დასმულ ამოცანებს.

არ არის ორგანიზებული სწავლის გადასახადის სტაბილურობა და გაწონასწორება.

მუსიკალური ჯგუფების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის,

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია):

ა) სისტემატურად გაუწიოს ინსპექტირება მუსიკალური ჯგუფების მუშაობას, განსაკუთრებით რესპუბლიკის რაიონებში;

ბ) ა. წ. ოქტომბრამდე გადაახალისოს მუსიკალური ჯგუფების დებულება და წარმოადგინოს დასამტკიცებლად კოლეგიაზე.

2. საგეგმო საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე):

უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს წინადადებები ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური კაბინეტის შექმნის შესახებ

3. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ს. არველაძე):

უზრუნველყოს მუსიკალური ჯგუფებისათვის საჭირო დოკუმენტაციის დაბეჭდვა.

4. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სისტემატური კონტროლი გაუწიონ მუსიკალური ჯგუფების მუშაობას;

ბ) გაააქტიურონ ესთეტიკური აღზრდის ადგილობრივი სექციების მუშაობა—მუსიკალურ ჯგუფებთან, სექციებთან, ჩამოაყალიბონ საგნობრივი მეთოდგაერთიანებები;

გ) სისტემატურად იზრუნონ მუსიკის მასწავლებელთა კადრების შევსებაზე კვალიფიციური პედაგოგებით.

5. სკოლების სამმართველომ მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგები მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში მოახსენოს კოლეგიას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 29 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო  
1964 წლის 25 ივნისის ბრძანება № 685

თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიაში მიღებული დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალების რეალიზაციის მდგომარეობის შესახებ

გაგეცანი რა თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიაში მიღებული დანადგარების, ხელსაწყო-იარაღებისა და მასალების რეალიზაციის მდგომარეობას, აღვნიშნავ, რომ საბაზო მაღაზიაში დიდი რაოდენობით არის მიღებული ისეთი ხელსაწყო-იარაღები (ფიზიკაში—ელექტროფორული მანქანა, ჰაერტუმბო, დინამომეტრი, ანაწყოები მექანიკაში, ფოტორელე, თერმორელე, რადიოანაწყოები და სხვ. ქიმიაში—კიპის აპარატები, მინისა და ფაიფურის ჭურჭელი, სინჯარები, რეაქტივების ანაწყოები საშუალო და რვაწლიანი სკოლებისათვის, ანაწყოები აგროქიმიკოსების მოსამზადებლად და სხვ. პოლიტექნიკური სწავლებისათვის—სახარატო, საბურღი, სალესი, სადურგლო ჩარხები, სადურგლო იარაღების ანაწყოები და სხვ.), რომლებიც სკოლებისათვის საჭიროა და დროულად არ გააქვთ ბაზიდან.

აღსანიშნავია, რომ ბაზაში შემოტანილია ისეთი ხელსაწყოებიც (სპექტოგრაფი, უნივერსალური პოტენციომეტრი და სხვ.), რომლებიც სკოლებს სრულიად არ სჭირდება და მისი რეალიზაცია ძნელდება.

ამასთან ერთად თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიას არა აქვს ისეთი ხელსაწყოები და განსაკუთრებით მასალები, როგორცაა საზეინკლო და სადურგლო დაზგები, საზეინკლო იარაღები, თერმომეტრები, ლივერები, რეზინის საცობები, გაზგამყვანი რეზინის მიღები, რეზინის ზონარი, ლითონისა და ხის შტატივები სინჯარებისათვის, მორისა და გოფმანის დამჭერები, ნამზადები საზეინკლო იარაღების დასამზადებლად და სხვ. სრულიად არ ხდება ფიზიკის ხელსაწყოების სათადარიგო ნაწილების შეძენა, რის შედეგადაც შეუკეთებელი რჩება მეტად ძვირფასიანი ხელსაწყოები.



1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა სკოლების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, წარმოადგინონ განაცხადი ჩარხებზე, დაზგებზე, ხელსაწყო-იარაღებზე, დამხმარე და სხვა თვალსაჩინო მასალებზე ყოველი წლის 15 მაისამდე მომდევნო წლის განაცხადების შესადგენად.

2. სკოლებისა და მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოებმა (ამხ. ამხ. დ. ჯავახია, ს. არველაძე):

ა) უახლოეს დროში გამოსცენ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებისა და დანადგარების კატალოგი და დაუზგავნონ იგი სკოლებს;

ბ) ყოველწლიურად აწარმოონ თვალსაჩინოების დაკვეთა აფხაზეთისა და აჭარის განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე და მიღებული დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალების განაწილება მოახდინონ ამ მოთხოვნის გათვალისწინებით:

გ) უზრუნველყონ მიღებული თვალსაჩინოების ადგილებისათვის დროულად შეტყობინება;

დ) შეკვეთების შედგენისას გაითვალისწინონ დანადგარებისა და ხელსაწყოთა სათადარიგო ნაწილებისა და დამხმარე მასალების შეძენა.

2. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) დროულად მოახდინოს ცენტრალიზებული თანხების განაწილება და დააწესოს კონტროლი მის შესრულებაზე.

3. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ პერიოდულად გამოაქვეყნოს მასალები თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიაში მიღებული თვალსაჩინო ხელსაწყოების სკოლებამდე გასაცნობად.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
1964 წლის 26 ივნისის ბრძანება № 693

სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების ხახურსათო საქონლით მომარაგების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებითა და ადგილებიდან წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 მარტის № 145 დადგენილების— „სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების სასურსათო საქონლით მომარაგების შესახებ“—საფუძველზე სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების სასურსათო საქონლით მომარაგება ერთგვარად გაუმჯობესდა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მომსახურებაში მყოფ დაწესებულებებში.

ასე, ქ. თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატი, რომელსაც მომსახურებას უწევს მარჯვენა სანაპიროს სასადილოების ტრესტი (მმართველი შ. ფაჩუაშვილი), როგორც 1963 წლის 10 თვეში, აგრეთვე 1964 წლის პირველ კვარტალში ნორმით გათვალისწინებული პროდუქტებით მთლიანად იყო უზრუნველყოფილი. ასევე კარგ მომსახურებას უწევს ქ. თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატს მარცხენა სანაპიროს სასადილოების ტრესტი (მმართველი ს. რუხაძე). ამ სკოლა-ინტერნატების სასადილოები და სამზარეულოები კარგადაა მოწყობილი, დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით და ისინი შეუფერხებლად, რეგულარულად მარაგდებიან სათანადო ასორტიმენტის სურსათ-სანოვაგით. აღსაზრდელთა სასურსათო საქონლით მომარაგების საქმე კარგადაა დაყენებული აგრეთვე ქ. თბილისის № 3, სოხუმის № 1, მახარაძის, კასპის, ახალციხის № 2, ლანჩხუთისა და დუშეთის სკოლა-ინტერნატებში.

მიუხედავად ამისა, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების, აღსაზრდელთა სურსათით უზრუნველყოფისა და კვებით მომსახურების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს.

2. კრებული.



ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ცეკავშირის მომსახურებაში მყოფ დაწესებულებებში.

გარდაბნის რაიონის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების (26 ობიექტი) აღსაზრდელებს 1964 წლის პირველ კვარტალში დააკლეს: 10, 732 კგ ბოსტნეული, 4249 კგ კარტოფილი, 2168 კგ მკარონი, 16867 კგ ხილი, 5072 კგ თევზი, 2230 კგ ყველი, 31971 ცალი კვერცხი და სხვა.

მიუხედავად სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებისა გარდაბნის რაიონის, ახალი სამგორისა და გამარჯვების საბავშვო ბაღები დღემდე არ მარაგდებიან თეთრი პურიით, ხოლო გლდანისა და ვარკეთილის საბავშვო ბაღებს სავაჭრო წერტილებიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით უხდებოდა პურის მიღება. საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ვერ ღებულობენ არაჟანს, ხაჭოს, ბოსტნეულს, ფქვილს, კვერცხსა და სხვა სახის პროდუქტებს. გარდაბნის რაიონის საბავშვო დაწესებულებებში სასურსათო საქონლის აუთვისებლობა ძირითადად მოდის იმ ობიექტებზე, რომლებსაც ემსახურება ცეკავშირი.

კაჭრეთის სკოლა-ინტერნატს, რომელსაც გურჯაანის რაიკომკავშირი ემსახურება 1963 წლის 1 სექტემბრიდან 1964 წლის 1 აპრილამდე, ე. ი. 7 თვის განმავლობაში, დააკლეს: 5523 კგ ბოსტნეული, 7739 კგ ხილი, 7394 კგ რძე, 1240 კგ ყველი, 8325 ცალი კვერცხი, 1267 კგ ხორცი და 9948 კგ კარტოფილი. ამ სკოლა-ინტერნატზე 1964 წლის 1 კვარტალის 36 დღის განმავლობაში ხორცი არ გაუციათ, ხოლო თევზი და ხახვი ინტერნატს სრულიად არ აქვს მიღებული.

ქ. სოხუმის № 2 სკოლა ინტერნატში, რომელსაც უშუალოდ ქ. სოხუმის სასადილოების ტრესტი ემსახურება, ცუდი მდგომარეობაა სასურსათო საქონლით მომარაგების საქმეში; 1964 წლის პირველ კვარტალში ამ სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს დააკლეს: 4712 კგ კარტოფილი, 3318 კგ ბოსტნეული, 691 კგ თევზი, 638 კგ ყველი, 723 კგ მკარონი, 4205 კგ ხილი და სხვ. სკოლა-ინტერნატის სასადილოში ერთფეროვანი და უხარისხო სადილები მზადდება.

ბარისახოს სკოლა-ინტერნატს 1964 წლის პირველ კვარტალში დააკლეს: 5072 კგ კარტოფილი, 2245 კგ ბოსტნეული, 3785 კგ ხილი, 4596 ცალი კვერცხი, 398 კგ მკარონი, 274 კგ ლობიო, 739 კგ ხორცი, 327 კგ ყველი და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა ხარაგოულის რაიონის კიციხის, ყვარლის რაიონის ყვარლისა

და ლაგოდების, მარნეულის, სიღნაღის რაიონის წითელწყაროს, ხაშურის რაიონის ტაშისკარის, წყალტუბოს რაიონის ბროწეთუღას სკოლა-ინტერნატებში, ბორჯომის, ლენინგორის, ქუთაის, თელავის, ეწრისა და ზოგიერთ სხვა საბავშვო სახლებში.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მარაგდებიან სურსათ-სა-ნოვაგით საჩხერის, ბოლნისის, ზესტაფონის, ქ. ტყეზულის, ამბროლაურისა და ზოგიერთი სხვა სკოლამდელი დაწესებულებები. ქ. თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებს მიმდინარე წელს სრულიად არ მიუღიათ ხახვი, ჭარხალი, სტაფილო, მწვანილი, რის გამოც ამ დაწესებულებებში უგემური კერძები მზადდება.

ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების სუსტი ზედამხედველობის შედეგად სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში დღემდე არაა შექმნილი დამხმარე მეურნეობები, ხოლო არსებულ დამხმარე მეურნეობებს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

ზოგიერთი საბავშვო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ კონტროლის შენელების შედეგად ადგილი აქვს აღსაზრდელთათვის განკუთვნილი პროდუქტების მითვისების შემთხვევებს. მაგალითად, ქ. თბილისის კალინინის რაიონის № 4 ბაგა-ბაღში (გამგე მ. ხელაშვილი) ბავშვებისათვის ნორმით განკუთვნილ თითოეულ ულუფას დააკლეს 18-26 გრამი თეთრი პური, ოქტომბრის რაიონის № 7 საბავშვო ბაღში (გამგე ა. რამიშვილი) საუზმისათვის განკუთვნილი 10 გრამი კარაქის ნაცვლად თითოეულ ბავშვზე გასცეს 5-5 გ, პური—ნაცვლად 50-50 გრამისა 40-40 გრამი, ამავე ბაღში შემოწმების დღეს, ბავშვთა ულუფას დააკლეს 6,5 კგ კარტოფილი. ქ. ბათუმის № 2 სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს შემოწმების დღეს დააკლეს 11,8 კგ კარტოფილი, 700 გ. მაკარონი, 100 გ კარაქი და საუზმეზე, ნაცვლად 20-20 გრამი ნამცხვრისა, გასცეს 15-15 გრამი.

ბოლნისის საბავშვო ბაღი (გამგე ფ. ცქვიტინიძე) სასურსათო მალაზიიდან პროდუქტებს ღებულობდა სასაქონლო ფაქტურის გარეშე, გარდა ამისა პროდუქტებს დიდი რაოდენობით იძენდა საკომისიო მალაზიაში. ამ საბავშვო ბაღში მითვისებულია 600 გ კარაქი, 48 ცალი კვერცხი, 200 გ. ჩაი, ყავა 400 გ, 20 კგ ბრინჯი, 9 კგ მანის ფქვილი, 41 კგ ხახვი, 21 კგ კომბოსტო, 38 კგ თეთრი პური, 15 კგ ჯემი, 12 კგ შედედებული რძე და სხვ.

ხაშურის რაიონის სურამის საბავშვო ბაღის მზარეულმა ს.

## გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა:

ა) 1964 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში შეისწავლონ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების სასურსათო საქონლით მომარაგების მდგომარეობა, შემოწმების შედეგები განიხილონ კოლექტივისა და საბჭოების სხდომებზე, მიიღონ და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი, შედეგების შესახებ აცნობონ განათლების საშინისტროს;

ბ) ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კვების ბლოკის სრულ წესრიგში მოყვანას და სასადილოების შევსებას საჭირო ინვენტარით და ჭურჭლით;

გ) მიმდინარე წლის ბოლომდე ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით მიაღწიონ ყველა სკოლა-ინტერნატსა და საბავშვო სახლთან დამხმარე მეურნეობის შექმნას.

2. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების სასურსათო საქონლით მომარაგების საკითხზე ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის მოწვეულ იქნას განათლების განყოფილების გამგეებისა და საბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელთა თათბირი.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ საგეგმო საფინანსო და მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოებთან ერთად მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე მოამზადოს საკითხი სადირექტივო ორგანოების წინაშე დასასმელად კვების პროდუქტების ნორმებისა და მათი შესაძენი ღირებულების შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ მ/წ ივლისის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებანი მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოში სკოლების, სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების დამხმარე მეურნეობათა განყოფილების შექმნის შესახებ.

5. ეთხოვოს გამომცემლობა „ცოდნას“ დირექტორს ა.ბ. შ. ბუაჩიძეს „კვების რეცეპტურის“ დაჩქარებით გამოცემა.

6. აღსაზრდელთათვის განკუთვნილი კვების პროდუქტების დანაკლისების დაშვებისა და ამ საქმეში კონტროლის შესუსტებისათვის ქ. ბათუმის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორს - დ. ლლონტს, ქ. თბილისის № 4 ბაგა-ბაღის გამგეს მ. ხელაშვილს და სურამის საბავშვო ბაღის გამგეს თ. ფანქველაშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

მიღებული იქნას ცნობად, რომ დასახელებული საბავშვო დაწესებულებების მატერიალური პასუხისმგებელი პირები და ბოლნისის საბავშვო ბაღის გამგე თ. ცქვიტინიძე მოხსნილი არიან სამუშაოდან.

7. ეთხოვოს ცეკავშირის გამგეობას სისტემატურად განიხილოს საკითხი სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების სასურსათო საქონლით მომარაგების მდგომარეობის შესახებ განათლების სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობით.

8. წინადადება მიეცეს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების ხელმძღვანელებს სრული წესრიგი დაამყარონ ბავშვთა კვების ორგანიზაციის საქმეში, არ დაუშვან დარღვევები, სასურსათო საქონლის მომარაგების შესახებ დროულად წარუდგინონ ათლდიური განაცხადები სავაჭრო ორგანიზაციებს და კვარტალის ბოლოს, თანდართული ფორმის მიხედვით, წარმოუდგინონ მასალები განათლების სამინისტროს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 26 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ც ნ ო ბ ე ბ ი

\_\_\_\_\_ კვების პროდუქტების ათვისების შესახებ  
 196 წლის \_\_\_\_\_ დან \_\_\_\_\_ მდე

პროდუქტების დასახელება	ბავშვდღეობა რაოდენობა	ნორმით ეკუთვნობა	ფაქტიურად მიიღო	შესრუ- ლება % % -ში

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 2 ივლისის ბრძანება № 724

### 1964 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების შესახებ

გაგეცანი რა მიმდინარე წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ პედაგოგიური და ფიზკულტურის ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილების შედეგებს. აღვნიშნავ, რომ 1964 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების საქმეში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლების მუშაკებთან ერთად, ფართო მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებმა და სხვა ხელმძღვანელებმა მუშაკებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ინსტრუქციის (უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტების პერსონალური განაწილების შესახებ) საფუძველზე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემულ უმაღლესი განათლების მქონე 1600-მდე ახალგაზრდა სპეციალიტიდან დღეისათვის სამუშაოზე განაწილებულია 1365.

გასანაწილებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გადმოცემული ახალგაზრდა სპეციალისტების ნაწილი, რომელთა სამუშაოზე მოწყობა გრძელდება.

ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დროულად გამოცხადებისა და ადგილზე დამაგრების მიზნით,

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგემ;

ა) მათ განკარგულებაში მივლინებულ ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დანიშვნა დაამთავრონ მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე;

ბ) მიიღონ ზომები სამუშაოზე ახლად დანიშნულ ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილებზე დროულად გამოცხადებისათვის და უზრუნველყონ თითოეული მათგანი ნორმალური პედაგოგიური დატვირთვით.

2. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სასწავლო წლის დაწყებამდე მოაწყონ დამწყებ მასწავლებლებთან ორგანიზებულად შეხვედრა, გააცნონ მათ სკოლისა და მასწავლებლის წინაშე მდგომი ახალი ამოცანები;

ბ) უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტების დროული გამგზავრება სამუშაო ადგილზე;

გ) დამწყებ მასწავლებელთათვის პედაგოგიურ-მეთოდური და სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე საჭირო დახმარების გასაწევად ფართოდ გამოიყენონ განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის მუშაკები და დახელოვნებული მასწავლებლები;

დ) დამწყები მასწავლებლები უზრუნველყონ ნორმალური პედაგოგიური დატვირთვით;

ე) მიიღონ საჭირო ზომები, რათა სოფლად მოვლინებული მასწავლებლები უზრუნველყოფილი იქნენ უფასო ბინით, გათბობითა და განათებით;

ვ) დაწყებით კლასებში მასწავლებლებად პირველ რიგში დანიშნონ მათ განკარგულებაში მივლინებული, დაწყებითი განათლების ფაკულტეტის კურსდამთავრებული უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტები;

ზ) იმის გამო, რომ ზემდგომი ორგანოების 1963 წლის 9 მაისის დადგენილების შესაბამისად ახალგაზრდა სპეციალისტს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი მიეცემა ადგილზე ერთი წლის მუშაობის შემდეგ, სამუშაოზე გამოცხადებულმა ახალგაზრდა სპეციალისტმა საგზურთან ერთად უნდა წარუდგინოს განათლების განყოფილებას დროებითი მოწმობა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ;

ახალგაზრდა სპეციალისტის მიერ წარმოდგენილი დროებითი მოწმობა შეინახონ ცეცხლგამძლე ყუთში და სათანადოდ შემოწმ-

ბული დაუბრუნონ ახალგაზრდა სპეციალისტს მუშაობის დაწყები-  
დან ზუსტად ერთი წლის გასვლის შემდეგ;

თ) კატეგორიულად აეკრძალოთ ხელზე მისცენ ახალგაზრდა სპეციალისტებს რაიმე ცნობა, ან ბრძანების პროექტი სამუშაოდან განთავისუფლების, ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადაყვანის შესახებ და სხვა.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურის მიღების შესახებ დასტური და წერილობითი ანგარიში თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ;

ამავე რიცხვისათვის წარმოადგინონ დანწყებ მასწავლებლებთან ჩატარებული მუშაობის შესახებ წერილობითი ინფორმაცია;

ბ) მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე აცნობონ უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების რექტორებს თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ;

ამავე რიცხვისათვის გადმოუგზავნონ მათ სამუშაოზე გამოცხადებულ ახალგაზრდა სპეციალისტის საგზურის მიღების შესახებ დასტური;

გ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებიდან სამი წლივ გასვლამდე არ მიიღონ სამუშაოზე ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელსაც არ ექნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზური, ან უმაღლესი სასწავლებლის რექტორის ცნობა იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს მიცემული აქვს სამუშაოზე დამოუკიდებლად მოწყობის უფლება.

აღნიშნული საბუთის გარეშე ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე მიღებისათვის დამნაშავეთა მიმართ გამოყენებული იქნება სასჯელის ზომა გათვალისწინებული ზემდგომი ორგანოების 1948 წლის 28 მაისის დადგენილებით;

დ) ახალგაზრდა სპეციალისტი, როგორც წესი ვალდებულია ადგილზე იმუშაოს არანაკლებ სამი წლისა, მაგრამ თუ იგი არ გამოცხადდა სამუშაოზე, ან მისი განთავისუფლება სხვადასხვა მიზეზების გამო, სამ წელზე ადრე აუცილებლად საჭირო შეიქმნა, მათ სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი დააყენონ და გადაწყვიტონ ახალგაზრდა სპეციალისტის მიერ მიღებული გადასაყვანი ხარჯების დაბრუნების შემდეგ.



4. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. გ. ნ. ჯიბლაძე):

ა) დაავალოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების რექტორებს უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დროულად გამოცხადება;

ბ) განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის, ქიმიის, წმინდა მათემატიკის, გამოთვლითი მათემატიკის, ფილოსოფიის, კარტოგრაფიისა და გეომორფოლოგიის სპეციალობის მქონე იმ სტუდენტებს, რომლებიც ამთავრებენ უნივერსიტეტს 1964 წლის დეკემბერში წაეკითხათ პედაგოგიკა, საგნის სწავლების მეთოდოლოგია და ყველა მათგანმა გაიაროს პედაგოგიური პრაქტიკა.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე):

ა) მიმდინარე წლის 15 აგვისტომდე დაამთავროს ჯერ კიდევ გაუნაწილებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გადმოცემული ისტორიისა და ქართული ენის სპეციალობის მქონე ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილება, ხოლო 15 დეკემბრამდე კი იმ სპეციალისტებისა, რომლებიც უნივერსიტეტს ამთავრებენ 1964 წლის დეკემბრის ბოლოს.

ბ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები მომახსენოს პერიოდულად.

**ხაფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 2 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე უ. თბილაძე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო  
№—5/1210. 10/VII—1964 წ.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს,  
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და  
ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეობებს და  
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი  
დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელებს

შ რ ო მ ი ს წ ი გ ნ ა კ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბიურომ 1964 წლის  
25 ივნისს განიხილა საკითხი შრომის წიგნაკების წარმოების მდგო-  
მარეობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ სამინისტროებსა  
და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში. გამოიკვება, რომ სა-  
ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის რიგ სკო-  
ლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში ჯეროვანი ყურადღება  
არ ექცევა შრომის წიგნაკების წარმოების საქმეს. ქ. თბილისის  
ორჯონიკიძის სახელობის რაიონის 62 ე საშუალო სკოლაში მომუ-  
შავე 123 კაციდან შრომის წიგნაკი არა აქვს 10 კაცს; ბ. ძნელაძის  
სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის 325  
მუშაკიდან შრომის წიგნაკი არა აქვს 52 კაცს, ხოლო სხვადასხვა  
დროს სამუშაოდან განთავისუფლებულ 61 მუშაკს დღესაც არ წაუ-  
ღიათ შრომის წიგნაკები. ქ. თბილისის განათლების განყოფილების  
მუშაკთა ყველა წიგნაკში არ არის შეცვლილი სსრკ სახკომსაბჭოს  
1938 წლის 20 დეკემბრის დადგენილების ბოლო ფურცელი.

ყველგან არ ხდება შრომის წიგნაკებში სამსახურებრივი მდგო-  
მარეობის ცვლილებების დროული შეტანა, შრომის წიგნაკებში არ  
აკეთებენ ჩანაწერებს მუშაკის დაწინაურება-განთავისუფლების, და-  
ჯილდოების შესახებ და სხვ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა სამინი-  
სტროებსა და უწყებებს მიიღონ ზომები შრომის წიგნაკების წარ-  
მოების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და დადგენილი  
წესის მიხედვით შრომის წიგნაკების წარმოების საკითხის მოსა-  
წესრიგებლად საჭიროა:

1. სრულ წესრიგში მოიყვანოთ სკოლებსა და სხვა საბავშვო/დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებლებისა და სხვა მასწავლებლის პირადი საქმეები და შრომის წიგნაკები;

2. მიიღოთ ზომები რათა ყველა მუშაკს ჰქონდეს, მოქმედი ინსტრუქციის დაცვით, შევსებული შრომის წიგნაკი და რომ შრომის წიგნაკებში დროულად იქნეს შეტანილი სწორი ცნობები მუშაკის შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ;

3. უზრუნველყოთ შრომის წიგნაკების შენახვა ცეცხლგამძლე ყუთში.

4. დაუყოვნებლივ ჩააბაროთ შრომის წიგნაკები იმ მუშაკებს, რომლებიც განთავისუფლებული არიან სამუშაოდან;

5. პერიოდულად შეამოწმოთ შრომის წიგნაკების წარმოების საკითხი სკოლებში და სხვა ქვემდებარე დაწესებულებებში და შედეგები განიხილოთ კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე ი. ბერაზაშვილი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება

1964 წლის 10 ივლისი

### საგაზაფხულო გამოცდების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ სკოლებში

რესპუბლიკის დაწყებით, რვაწლიან და საშუალო ზოგად-საგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ საწარმოოსწავლეებიან, სალამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლებში გადასაცემი, დამამთავრებელი და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების პერიოდში შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით კოლეგია ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქების და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებმა:

ა) გულდასმით შეისწავლონ 1963—1964 სასწავლო წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შედეგები, მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად; საგაზაფხულო გამოცდების შედეგები გახადონ მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების მსჯელობის საგნად;


ბ) სათანადო კონტროლი დააწესონ საშემოდგომო გამოცდების ჩატარებაზე და გააძლიერონ მეთვალყურეობა იმ სკოლების მიმართ, სადაც გამოცდების პერიოდში ადგილი ჰქონდა საგამოცდო ინსტრუქციისა და მოსწავლეთა შეფასების ნორმების დარღვევას;

გ) ახალი სასწავლო წლიდან შეისწავლონ სასწავლო-აღმზრდელითი მუშაობა იმ სკოლებში, სადაც გამოცდების დროს გამოჩვენდა მოსწავლეთა დაბალი აკადემიური წარმატება და მიიღონ ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია):

ა) განახორციელოს საჭირო კონტროლი საშემოდგომო გამოცდების ჩატარებაზე განსაკუთრებით იმ სკოლებში, რომლებშიც

საგაზაფხულო გამოცდების პერიოდში მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონე გამოჩედა;



ბ) შეამოწმოს სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა იმ რაიონების სკოლებში, სადაც გამოცდების დროს გამოაშკარავდა მოსწავლეთა წარმატების დაბალი დონე და ადგილი ჰქონდა ცოდნის ლიბერალურ შეფასებას.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის დადგენილება  
1964 წლის 10 ივლისი

ზესტაფონისა და საჩხერის რაიონებში საყოველთაო  
სავალდებულო რვაწლიანა განათლების კანონის გან-  
ხორციელების შესახებ

ზესტაფონისა და საჩხერის რაიონებში საყოველთაო სავალ-  
დებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების საქმე-  
ში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით განათლების სა-  
მინისტროს კოლეგია ა დ გ ე ნ ს:

1. ზესტაფონისა და საჩხერის რაიონების განათლების განყო-  
ფილებათა გაძველება (გ. კიკნაძე, გ. სადუნაშვილი):

ა) ა/წლის 20 აგვისტომდე შეისწავლონ საყოველთაო სავალ-  
დებულო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობა,  
შემოწმების მასალები განიხილონ განათლების საბჭოებზე, მიიღონ  
ქმედითი ღონისძიებანი 1964—1965 სასწავლო წლისათვის სასკო-  
ლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩასაბმელად;

ბ) პირადად უხელმძღვანელონ სასკოლო ასაკის ბავშვთა  
აღრიცხვისა და მოსწავლეთა კონტინგენტის დაგეგმვის საქმეს.  
უზრუნველყონ სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა შენარჩუნება  
საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების მანძილზე;

გ) მიიღონ ზომები გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და  
ჯგუფების ორგანიზაციის და მათთვის მუშაობის ნორმალური პი-  
რობების შესაქმნელად;

დ) სათანადო კონტროლი დააწესონ საყოველთაო სწავლე-  
ბის ფონდის დანიშნულების მიხედვით ხარჯვაზე;

ვ) საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორ-  
ციელების მიმდინარეობა განიხილონ მასწავლებელთა აგვისტოს  
თათბირებზე და დასახონ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა  
აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 10 ივლისის ერთობლივი დადგენილება

ნორჩ ტურისტ-მხარეთმცოდნეთა VII რესპუბლიკური შეკრების  
ჩატარების შესახებ

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ადგენენ:

1. 1964 წლის 20 ივლისიდან 1964 წლის 20 აგვისტომდე ხაშურის რაიონის სოფ. გვერდისუბნის ქალაში ჩატარდეს ნორჩ ტურისტ-მხარეთმცოდნეთა VII რესპუბლიკური შეკრება.

2. დამტკიცდეს ნორჩ ტურისტ-მხარეთმცოდნეთა VII რესპუბლიკური შეკრების საორგანიზაციო შტაბი: ოსტროვსკაიას ვ. ნ., ბოლოკაძის (ალკა ცენტრალური კომიტეტი), ორახელაშვილისა ა. ა. (განათლების სამინისტრო), გაგაშელიშვილის ფ. ი., თარგამაძის ც. დ., თუშაბრამიშვილის ლ. მ., კაკაბაძის თ. გ., ერისთავის მ. ა. (ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო ტურისტული სადგური) შემადგენლობით.

3. შეკრების კონტინგენტი განისაზღვროს 360 მოსწავლით.

4. შეკრების შტაბის უფროსად დაინიშნოს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დირექტორი მზია ალექსანდრეს ასული ერისთავი.

5. შეკრება ჩატარდეს სამ ნაკადად, თითოეული ნაკადის ხანგრძლიობა განისაზღვროს 8 დღით, ხოლო კონტინგენტი 120 მოსწავლით.

6. შეკრების დელეგატებად გამოწვეულნი იქნენ პიონერ-მოსწავლეთა IV საკავშირო ექსპედიციის მონაწილენი, საექსკურსიო ობიექტისა და ტურისტული მარშრუტის პასპორტთა საუკეთესო შემდგენლები და ნორჩი ფენელოგები.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ, მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ უზრუნველყონ ამ ღონისძიების ჩატარება სათანადო მასალებით, ინვენტარითა და მოწყობილობით.

8. შეკრების შტაბმა:

- ა) უზრუნველყოს შეკრებაზე გამოსაწვევი კონტინგენტის გულ-დასმით შერჩევა და შეკრებაზე მათი დროულად გამოცხადება;
- ბ) მოაგვაროს შეკრების მონაწილეთა ნორმალური კვების, შეკრების გეგმისა და პროგრამის განხორციელება;
- გ) მოსწავლეთა გონივრული დასვენება სწორად შეუხამოს შემოქმედებით ტურიზმსა და მხარეთმცოდნეობას;
- დ) გაატაროს ღონისძიებები აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო დონეზე ჩატარებისათვის;
- ე) მიიღოს ზომები, რათა შეკრების მონაწილეთა აქტიური დასვენება, ლაშქრობები, გართობა და სპორტული ღონისძიებები ტარდებოდეს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესებისა და ნორმების მიხედვით;
- ვ) ბანაკის ექიმთან და პედაგოგიურ პერსონალთან ერთად გაატაროს სათანადო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სპორტული ტრავმებისა და ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილებას;
- ზ) შეკრების შტაბის უფროსმა მ. ა. ერისთავმა შეკრების დამთავრებიდან 10 დღის განმავლობაში წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს და ალკკ ცენტრალურ კომიტეტს მოხსენებითი ბარათი ჩატარებული მუშაობის შესახებ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

ო. ჩერქეზია

უ. თბოლაძე



## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 10 ივლისის ბრძანება № 750

სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობის საკითხებზე 1964 წლის აპრილში ჩატარებული რესპუბლიკური თათბირ-სემინარისა და ზონალური თათბირების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ განათლების განყოფილებების გამგეების, საქართველოს ალკვ საქალაქო და რაიონული კომიტეტების სასკოლო განყოფილებათა გამგეების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორების, უფროს პიონერხელმძღვანელებისა და აღმზრდელების რესპუბლიკურმა თათბირ-სემინარმა და ამავე დაწესებულებების ხელმძღვანელთა ზონალურმა თათბირებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობაში შეიმჩნევა სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი.

სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ნაწილს არა აქვთ მოწესრიგებული ნივთიერი ბაზა, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ბავშვთა მოვლა-პატრონობას, არადამაკმაყოფილებლად დაყენებული აღსაზრდელთა მომარაგება სასურსათო საქონლით, ყურადღების ცენტრში არაა მოქცეული აღსაზრდელთა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება. დასახელებულ დაწესებულებებს სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობაში აქვს დიდი ნაკლოვანებანი, კერძოდ, თანამედროვე მოთხოვნილებებს ვერ პასუხობს მხატვრული აღზრდა, პედაგოგიური კოლექტივები სათანადოდ ვერ იყენებენ პიონერულსა და კომკავშირულ ორგანიზაციებს და საერთოდ სუსტად მუშაობენ მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნების მიმართულებით.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მოწინავე გამოცდილების განზოგადების საქმე. მუშაობის საუკეთესო ნიმუშები მძიმედ და ძნელად იწერება პრაქტიკაში.

სკოლა ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. თბილისის № 2 და ქ. კასპის სკოლა-ინტერნატებში 1965 წლის 1 სექტემბრიდან ქ. მოსკოვის № 12 სკოლა-ინტერნატის მაგალითის მიხედვით გაიხსნას თითო მოსამზადებელი კლასი, სადაც ჩაირიცხებიან 6 წლის ასაკის ბავშვები, ამ სკოლა-ინტერნატებში უცხო ენის სწავლება შემოღებული იქნეს მოსამზადებელი კლასიდან.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა საკვლეო-სამეცნიერო ინსტიტუტმა ქ. თბილისის № 2 და ქ. კასპის სკოლა-ინტერნატების მოსამზადებელი კლასებისათვის შეადგინოს სასწავლო გეგმისა და პროგრამის პროექტი და წარმოადგინოს დასამტკიცებლად 1964 წლის 1 ოქტომბრამდე; ინსტიტუტს დაევალოს ამ სკოლა-ინტერნატებისადმი მეთოდური ხელმძღვანელობის გაწევა.

3. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების კოლექტივებმა მკვეთრად გააუმჯობესონ ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა; ამისათვის ფართოდ გამოიყენონ მშობლიური ენა და ლიტერატურა, სიმღერა, მუსიკა, ხატვა, ძეგწვა, ექსკურსიები ბუნებაში, სამხატვრო გალერიებში, მუზეუმებში, გამოფენებზე, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენა და გარჩევა, კინო-სურათების ნახვა და სხვ.

ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით, სხვა ღონისძიებებთან ერთად, აღმზრდელებად შერჩეული იქნენ მუსიკის, ხატვის, ქორეოგრაფიის, ფიზკულტურის კვალიფიციური სპეციალისტები.

4. სკოლა-ინტერნატებში სააღმზრდელო მუშაობაზე ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით შეშვიდე კლასის ერთი აღმზრდელი გამოყენებული იქნეს უფროს აღმზრდელად, ამ კლასში სააღმზრდელო მუშაობისაგან განთავისუფლებით.

5. ნება დაერთოს სკოლა-ინტერნატების დირექტორებს:

ა) პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასტურით ზოგიერთი მაღალი წარმატებისა და სანიმუშო დისციპლინის VI—XI კლასი ამუშაონ აღმზრდელის გარეშე;

ბ) მოაწყონ მეთოდური მუშაობის ამსახველი თემატური გამოფენები და საგამოფენო მასალები განაახლონ სისტემატურად;

გ) დააწესონ კლასის ხელმძღვანელებისა და აღმზრდევლები-სათვის ერთიანი მეოთხედური სააღმზრდელო გეგმები;

დ) ანალოგიურად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა, სკოლა-ინტერნატებში შექმნან მუსიკალური ჯგუფები მშობელთა ხარჯზე;

ე) შემოიღონ თანამშრომელთა სადღეღამისო მორიგეობა—მორიგეობაში ჩააბან ყველა მუშაკი, გარდა ტექნიკური მუშაკისა, რომელთაც მორიგეობისათვის გამოყენებული დრო აუნაზღაურონ ნატურით;

ვ) ბავშვთა გაღვიძება აწარმოონ რადიო-მუსიკალური გადაცემების საშუალებით;

ზ) შეამოწმონ არსებული ფართობის გამოყენების მდგომარეობა; მიღწიონ საძინებელი ფართობის ნორმალურ დატვირთვას, მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი აღსაზრდელთა ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობისა და გართობათამაშისათვის;

თ) აღსაზრდელთა კვების რადიკალურად გაუმჯობესების მიზნით განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 26 ივნისის № 693 ბრძანებით „სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების სასურსათო საქონლით მომარაგების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ“.

6. მიზანშეწონილად ჩათვალოს 1964—1965 სასწავლო წლის 1 სექტემბრიდან სკოლა-ინტერნატების ბავშვთა კოლექტივების, ბავშვთა საბჭოების ფუნქციების მთლიანად გადაცემა კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებზე. ეთხოვოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დაავალოს ალკკ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს განათლების განყოფილებებთან ერთად ამ ღონისძიების განხორციელება 1964—1965 სასწავლო წლის პირველ მეოთხედში.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ:

ა) მ/წლის ბოლომდე დაამუშაოს და წარუდგინოს კოლეგიას დასამტკიცებლად სკოლა-ინტერნატებისათვის საჭირო მაგარი ინვენტარის ნომენკლატურა;

ბ) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეიმუშაოს სააღმზრდელო მუშაობის აღრიცხვის ქურნალის ფორმა და წარმოადგინოს დასამტკიცებლად;

გ) ერთი თვის ვადაში მოამზადოს დასაბეჭდად სკოლა-ინტერნატების შესახებ გამოსული ძირითადი დადგენილებების დადგენილი პარგულელების კრებული;

დ) მ/წლის ბოლომდე დაამუშაოს სკოლა-ინტერნატების ტიპური დღის რეჟიმი და დაუგზავნოს სათანადო დაწესებულებებს სახელმძღვანელოდ;

ე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა საკვლევო-სამეცნიერო და დახელოვნების ინსტიტუტებთან ერთად დაამუშაოს მეთოდური მითითებანი სკოლა-ინტერნატებში დღის საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებსა, მეორე ნახევარში მუშაობის ორგანიზაციის შესახებ;

ვ) დაევალოს აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს მ/წლის 1 აგვისტომდე შეისწავლოს ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის საძინებელი და სამეურნეო კორპუსების მშენებლობაზე იმ დაუმთავრებელი სამუშაოების საკითხი, რომლის თანხები მიღებული ჰქვს მშენებელ ორგანიზაციას; ამ საქმეში კონკრეტული დამნაშავეს საქმე გადასცეს პროკურატურას სათანადო ზომების მისაღებად.

9. დაევალოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას:

ა) მ/წლის 1 აგვისტომდე შეისწავლოს თეთრიწყაროს, ინგირის, ახალსოფლის, ხულოს, სამტრედიის, მახუნცეთის, წულუკიძის, ბათუმის № 1, გულრიფშის, მახარაძის, სოხუმის № 2, სალხინოს, გორდისა და მარნეულის სკოლა-ინტერნატების შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა და კომუნიკაციებით უზრუნველყოფის საქმე და წარმოადგინოს სათანადო წინადადებანი;

ბ) 1964 წლის ბოლომდე განიხილოს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების კვების პროდუქტების შესანახი სათავსოებით უზრუნველყოფა და მისი გაუმჯობესების მიზნით წარმოადგინოს საჭირო ღონისძიებების პროექტი.

10. საეგემო-საფინანსო სამმართველომ მოამზადოს საკითხი სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მაგარი და რბილი ინვენტარის შესაძენი თანხების ცენტრალიზაციის შესახებ 1965 წლის 1 იანვრიდან.

11. დაწესდეს, რომ მომავალში სკოლა-ინტერნატებსა, საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში კადრების დანიშვნა ხდებოდეს ამ დაწესებულებათა დირექტორებსა წარდგინების საფუძველზე.

12. სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა ჩარიცხვა პირველი რიგში ხდებოდა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შიშლიძის

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 26 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
1964 წლის 10 ივლისის ბრძანება № 778

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში  
საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მდგომარეობისა  
და მისი გაუმჯობესების შესახებ

მიმდინარე წლის მაისის ბოლოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და მიიღო დადგენილება. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალი სასწავლო საგნის— „საზოგადოებათმცოდნეობის“ შემოღებამ ხელი შეუწყო მოსწავლე ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას, მათი ინტერესის გაძლიერებას პოლიტიკური ლიტერატურისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და პოლიტიკის, კომუნისმის შესწავლისადმი. საზოგადოებათმცოდნეობის კურსმა წაწყვანი ადგილი დაიკავა მოსწავლეთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, მათს აღზრდაში კომუნისტური იდეალებისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

საქართველოს კბ საოლქო კომიტეტებმა, ქალაქკომებმა და რაიკომებმა, საწარმოო სამმართველოთა პარტიულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა სერიოზული ღონისძიებანი განახორციელეს სკკბ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საშუალო სკოლებში საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების შესახებ. ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა საზოგადოებათმცოდნეობის სახელმძღვანელო. დიდი მუშაობა ჩატარდა საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა კადრების შესარჩევად, მათი იდეურ-პოლიტიკური, მეცნიერული და მეთოდური მომზადების ამალგებისათვის. მასწავ-

ლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებში, განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებებთან შეიქმნა კურსები და მუდმივმოქმედი სემინარები. საზოგადოებრივი მოძრაობის მასწავლებლებთან მუშაობაში ჩაბმული არიან უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები, პარტიული და საბჭოთა აპარატის მუშაკები, საუკეთესო მასწავლებლები, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა რესპუბლიკის სკოლებში საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მოწინავე გამოცდილების განზოგადებას და გავრცელებას, მასწავლებელთა დასახმარებლად ადგილებზე ტარდება ზონალური სემინარები.

როგორც შემოწმებამ ცხადყო—ნათქვამია შემდეგ დადგენილებაში—თბილისის, ჭიათურის, თელავის, ბოლნისის, საჩხერისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების მრავალ სკოლაში სწორადაა დაყენებული საზოგადოებათმცოდნეობის სწავლება. მასწავლებელთა უმრავლესობა კარგი დელოზს საგანსა და მისი სწავლების მეთოდისკა, გავებით ტარდება მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და პედაგოგიურ-მეთოდურ დონეზე. ბევრი მასწავლებელი სწავლების პროცესში უნარიანად ახორციელებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების, სკკპ XX, XXI, XXII ყრილობების მასალების, პარტიის პროგრამის სწავლებას. მოწაფეთათვის მისაწვდომი ფორმით ატარებს საინტერესო კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას, აღწევს მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის ღრმა და მტკიცე ათვისებას.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის მთელ რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებაში არსებითი ნაკლოვანებებია. ზოგიერთი მასწავლებელი სუსტად ფლობს საგანს, მოსაწყენად და უინტერესოდ გადასცემს სასწავლო მასალას, არასაკმაოდ იყენებს სწავლების ახალ, პრაქტიკით შემოწმებულ მეთოდებს, ყოველთვის ვერ აკავშირებს სასწავლო მასალას ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, არ აბამს მოსწავლევს აქტიურ შემეცნებით მუშაობაში.

სახალხო განათლების ზოგიერთი ადგილობრივი ორგანო, პედაგოგიური კაბინეტი და სკოლების ხელმძღვანელები ჯეროვან მეთოდურ დახმარებას არ უწევენ მასწავლებლებს. მთელ რიგ ადგილებში (ჭიათურა, ბოლნისი და ზოგიერთი სხვა ქალაქი და რაიონი) ჯერ არ არის შექმნილი მუდმივმოქმედი სემინარები საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებისათვის.

საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებს საკმაო დახმარებას არ უწევენ პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი

ინსტიტუტი და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრები, რომელთა თემატიკაში ჯერაც არ უჭირავს შესაფერისი ადგილი საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მეთოდის აქტუალურ საკითხებს, არ არის დამყარებული კავშირი საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებთან.

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაევალა მიიღოს ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და სკოლებში საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებისას მთელი მუშაობა უნდა წარიმართოს ძირითადი ამოცანის—ახალგაზრდობის იდეოლოგიური აღზრდის, ჭაბუკებსა და ქალიშვილებში კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, მათი სულიერი მოთხოვნილებებისა და მისწრაფებათა დაკმაყოფილების გადასაჭრელად.

ამ მიზნით:

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებათმცოდნეობის კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრების შერჩევასა და მომზადებას, შეიცვალოს ამ საგნის სუსტად მცოდნე მასწავლებლები და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებად არ იქნან დაშვებულნი ის პირნი, რომელთაც არა აქვთ უმაღლესი განათლება;

დამუშავდეს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი მოწინავე გამოცდილების შესასწავლად, განსაზოგადებლად და პრაქტიკაში დასანერგად, მასწავლებელთა პედაგოგიური ოსტატობის, მათი მეცნიერულ-თეორიული და მეთოდური მომზადების ასამაღლებლად.

მასწავლებლებმა კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ საზოგადოებათმცოდნეობის სწავლება ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებს;

მიიღონ ზომები საჭირო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეთოდური ლიტერატურით და თვალსაჩინო ხელსაწყოებით სკოლების უზრუნველსაყოფად.

გაუმჯობესდეს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა საზოგადოებრივი ცხოვრების, ხელოვნების, მორალის ისეთ პრობლემებზე, რომლებიც აინტერესებს ახალგაზრდობას. უფრო ხშირად ჩატარდეს მოსწავლეთა კონფერენციები, დისპუტები, სემინარები, კოლექტიური სვლა მუზეუმებში, გამოფენებზე, მოწინავე საწარ-



მოებში, შეიქმნას საზოგადოებრივ დისციპლინათა სასკოლო კანონებში.

განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში ლათ პერიოდულად შეამოწმონ და განიხილონ საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მდგომარეობის საკითხები, დროულად უზრუნველყონ სკოლები ამ საგნის სახელმძღვანელოებით.

პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს წინადადება მიეცა გაათავოს სამეცნიერო შრომების თემატიკა საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდიკაში, ჩააბას ამ მუშაობაში უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები და სათანადო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე მოწინავე პრაქტიკოს მასწავლებლები.

გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებს დაევალოთ ფართო პროპაგანდა გაუწიონ მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას, ხშირად გამოაქვეყნონ მასალები საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა დასახმარებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს დაევალოს მიიღოს ზომები საზოგადოებათმცოდნეობის მომავალ მასწავლებელთა მომზადების გასაუმჯობესებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების შესაბამის ფაკულტეტებზე, ამასთან გააძლიერონ პედაგოგიური ინსტიტუტების ყველა ფაკულტეტის სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა.

საქართველოს კპ საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, სამრეწველო და სასოფლო პარტიულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალოთ ქმედითი დახმარება გაუწიონ საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებს კონკრეტული ეკონომიკის საკითხების შესწავლაში, მათს საქმიანობაში მოსწავლეთათვის პარტიული, საქალაქო და სამეურნეო ორგანოების მოღვაწეობის, საწარმოთა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გასაცნობად, წარმოების მოწინავეებთან, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან შეხვედრების მოსაწყობად.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის  
დადგენილების განსახორციელებლად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების  
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების  
განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენება  
ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში.

ამ მიზნით:

ა) ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გაატარონ საჭირო ზომები საზოგადოებათმცოდნეობის კვალიფიციურ მასწავლებელთა შერჩევისა და დაკომპლექტების უზრუნველსაყოფად; შეცვალონ ამ საგნის სუსტად მცოდნე მასწავლებლები, საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებად არ დაუშვან ის პირნი, რომელთაც არ აქვთ ამ საგნისათვის შესაბამისი უმაღლესი განათლება;

ბ) ყოველნაირად შეუწყონ ხელი მოწინავე მასწავლებელთა შემოქმედებით თაოსნობას საგნის სწავლების ეფექტური გზების ძიებისა და მათი პრაქტიკულად დანერგვის მიზნით და ფართოდ განაზოგადონ ნოვატორ მასწავლებელთა გამოცდილება;

გ) გადაჭრით გარდაიქმნას (ხოლო იქ, სადაც არაა შექმნილი შეიქმნას) განათლების რაიონულ და საქალაქო განყოფილებებთან არსებული მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობა; ფართოდ ჩააბან აღნიშნული სემინარების მუშაობაში შემოქმედებითად მომუშავე მასწავლებლები.

2. განათლების განყოფილებებმა:

ა) ყოველნაირად შეუწყონ ხელი, რათა აღნიშნული სემინარები გადაიქცნენ საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და მისი პრაქტიკულად დანერგვის მეთოდურ ცენტრად;

ბ) პერიოდულად შეამოწმონ და განიხილონ საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მდგომარეობა, დროულად მოამარაგონ სკოლები სახელმძღვანელოებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეთოდური ლიტერატურითა და თვალსაჩინო ხელსაწყოებით.

3. საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებმა უფრო მრავალფეროვანი და შინაარსიანი გახადონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, ფართოდ გამოიყენონ სწავლების ისეთი ფორმები, როგორიცაა კონფერენციები, დისპუტები, სემინარები და სხვ. შემოქმედებითად შეუხამონ საპროგრამო მასალის შინაარსს სკოლისგარეშე მუშაობის სახეები (კოლექტიური სვლები მუზეუმებში).

გამოფენებზე, მოწინავე საწარმოებში), შექმნან საზოგადოებრივ დისციპლინათა სასკოლო კაბინეტები.

4. დაევალოს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო ცენტრით ინსტიტუტს (შ. ფოფხაძე) გააფართოოს სამეცნიერო შრომების თემატიკა საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების აქტუალურ მეთოდურ საკითხებზე, ფართოდ მიიზიდოს ამ მუშაობაში უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები და სათანადო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე მოწინავე პრაქტიკოს-მასწავლებლები.

5. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილი):

ა) გააძლიეროს სასწავლო მეთოდური ხელმძღვანელობა რაიონის, ქალაქის პედაგოგიურ კაბინეტებსა და მათთან არსებულ მუდმივმოქმედ სემინარებზე. სასემინარო მუშაობის ჩატარებისა და ადგილებზე სკოლებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით შემოიღოს მეთოდისტთა მივლინება რაიონებში ზუსტად განსაზღვრული მოთხოვნილებებისა და წინასწარ მოფიქრებული სასწავლო-მეთოდური ამოცანების შესაბამისად.

ბ) სასემინარო თემატიკა შეუფარდოს სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებელთა წინაშე მდგარ რთულ, სადისკუსიო საკითხების შინაარსს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ საქმეში სკოლის წინაშე დასმული ახალი ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭირო საკითხების გარკვევას.

6. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ტ. ტყემალაძე) მიიღოს ზომები საზოგადოებათმცოდნეობის დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოების დროულად გამოცემის უზრუნველსაყოფად.

7. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა ფართო პროპაგანდა გაუწიონ მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას, ხშირად გამოაქვეყნონ მასალები საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა დასახმარებლად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 10 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ  
საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი  
1964 წ. 17/VII.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორმ- ტივნიკოსთა ცენტრალური სადგურის დებულება

### I. სადგურის ამოცანები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორმ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური წარმოადგენს პიონერთა და მოსწავლეთა შორის ტექნიკის დარგში მუშაობის საინსტრუქციო-მეთოდურ კლასგარეშე და სკოლის გარეშე რესპუბლიკურ დაწესებულებას.

ნორმ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ამოცანას წარმოადგენს ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს სახალხო განათლების ორგანოებს, რვაწლიანი და საშუალო სკოლების პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს პიონერებისა და მოსწავლეების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომითი საქმიანობისათვის მათს მომზადებაში.

ნორმ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური ნერგავს მოსწავლეებში ტექნიკისადმი სიყვარულსა და ინტერესს, ავითარებს მათ ნიჭსა და ტექნიკის დარგში შემოქმედებითი მუშაობისადმი მიდრეკილებას, ეხმარება მათ მომავალი პროფესიის შეგნებულად შერჩევაში; მოსწავლეთა ასაკის, ცოდნისა და ინტერესების გათვალისწინებით, ფართოდ განვითარებული ინიციატივის, თვითმოქმედებისა და აქტიობის საფუძველზე, აუმჯობესებს ტექნიკის დარგში სკოლის მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

ნორმ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მუშაობის წამყვან საწყისს წარმოადგენს მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, წარმოებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური მთელ თავის მუშაობას წარმართავს ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო და საქალაქო სადგურებზე დაყრდნობითა და პიონერულ-კომკავშირულ ორგანიზაციებთან, უმაღლეს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებთან, პროფკავშირების კულტგანყოფილებებთან, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ და საქალაქო კომიტეტებთან და პიონერ-მოსწავლეთა შორის ტექნიკისადმი სიყვარულის დანერგვით დაინტესებულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

## II. სადგურის მუშაობის შინაარსი

2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური ახორციელებს საინსტრუქციო მეთოდურ ხელმძღვანელობას ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო და საქალაქო სადგურების მუშაობაზე. აკონტროლებს მათ საქმიანობას, მეთოდურ დახმარებას უწევს პიონერთა სასახლეებისა და სახლების ტექნიკის განყოფილებებსა და პროფკავშირების ნორჩ ტექნიკოსთა კლუბებს. ამ მიზნით ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური:

ა) ისმენს მოხსენებებს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებისა და ცალკეული სკოლის გარეშე დაწესებულებების ტექნიკური წრეების მუშაობის შესახებ. იძლევა სათანადო დასკვნებსა და რეკომენდაციებს მათ მუშაობაზე;

ბ) სწავლობს, ანზოგადებს და პრაქტიკაში ნერგავს ტექნიკის დარგში მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას; ავრცელებს ინფორმაციებს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების, ან სხვა სკოლის გარეშე დაწესებულებების მუშაობის შესახებ;

გ) ამუშავებს, ამრავლებს და ავრცელებს საინსტრუქციო, პროგრამულ-მეთოდურ მასალებს (დებულებებს მასობრივი ღონისძიებების შესახებ; პროგრამებს, ტექნიკური წრეების მუშაობის საინიშუო გეგმებსა და თემატიკას; ინსტრუქციებს სკოლის გარეშე დაწესებულებებში საწრეო და მასობრივი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შესახებ; სკოლის გარეშე დაწესებულებების სკოლებისადმი დახმარების ფორმებსა და მეთოდებს და სხვ.); ამუშავებს ხელსაწყოების, მოდელების, მცირეგაბარიტიანი მანქანებისა და სხვა ტექნიკურ მოწყობილობათა აღწერილობებსა და ნახაზებს;

დ) მასწავლებლთა დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად აწყობს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებისა და სკოლის გარეშე სხვა დაწესებულებათა მუშაკების მომზადება-გადამზადებას;

ე) ატარებს ზეპირსა და წერილობით კონსულტაციებს მასწავლებლების, პიონერხელმძღვანელების, სკოლის გარეშე დაწესებულებათა და სახალხო განათლების დარგის სხვა მუშაკთათვის ტექნიკის დარგში კლასგარეშე მუშაობის საკითხებზე;

ვ) აწყობს პედაგოგიურ პროპაგანდას მშობელთა შორის, მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და ტექნიკური შემოქმედების საკითხებზე;

ზ) აწყობს პიონერ მოსწავლეთა შორის სამეცნიერო-ტექნიკურ პროპაგანდას, რისთვისაც იყენებს პრესას, რადიოს, ტელევიზიას, კინოს, გამოფენებს და ლექციური მუშაობის სხვადასხვა ფორმებს;

თ) ატარებს რესპუბლიკური და ზონალური მნიშვნელობის ისეთ მასობრივ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია პიონერ-მოსწავლეთა ტექნიკურ შემოქმედებაში ჩასაბმელად, ტექნიკური წრეების მუშაობის საუკეთესო გამოცდილებისა და მათი ხარისხის შემდგომი ამაღლების გამოსავლინებლად, ნორჩი ტექნიკოსების საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ჩასაბმელად;

ი) სადგურის ლაბორატორიებში და კაბინეტებში, რვაწლიანი და საშუალო სკოლების V—XI კლასების მოსწავლეთათვის აყალიბებს წრეებს, კლუბებს, საზოგადოებებს (მათ შორის დაუსწრებელსაც) მეცნიერებისა და ტექნიკის, ნორჩ ფოტომოყვარულთა და სხვა შემოქმედებითს გაერთიანებებს;

კ) ატარებს კონკურსებს, დათვლიერებებს, შეჯიბრებებს, კონფერენციებს, ოლიმპიადებს; აწყობს ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების გამოფენებს;

ლ) ამზადებს მოსწავლეთა აქტივიდან სკოლების ტექნიკური წრეების ორგანიზატორებსა და ხელმძღვანელებს;

მ) ატარებს სათანადო მუშაობას საკავშირო ღონისძიებებში საქართველოს სსრ სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობისათვის;

ნ) წარმართავს წრეების მუშაობას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე, ხოლო მათი უქონლობის შემთხვევაში—წრის ხელმძღვანელების მიერ შედგენილი სამუშაო გეგმებით.

### III. სადგურის სტრუქტურა

3. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურთან არსებობს შემდეგი განყოფილებები:

ა) მეთოდური მუშაობის;

- ბ) მასობრივი მუშაობის;
- გ) ქიმიის;
- დ) რადიოელექტრონიკის;
- ე) ტრანსპორტისა.

მეთოდური მუშაობის განყოფილებაში შედის: საკონსულტაციო-მეთოდური კაბინეტი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, დაუსწრებელი კონსულტაციის კაბინეტი, ნორჩ ტექნიკოსთა დაუსწრებელი კლუბი, საგამომცემლო ნაწილი და პოლიგრაფიული ლაბორატორია.

მასობრივი მუშაობის განყოფილებაში შედის: მასობრივი მუშაობის კაბინეტი, ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების მუდმივ-მოქმედი გამოფენა; კინო-სალექციო დარბაზი, რადიოსტუდია, პლანეტარიუმი, ინსტრუმენტოტექა და ტურისტული ტიპის ნორჩ ტექნიკოსთა პროფილირებული ბანაკი (ზაფხულის პერიოდში).

ქიმიის განყოფილებაში შედის: ქიმიურ-ტექნოლოგიური, ფოტოგრაფიულ-კინემატოგრაფიული ლაბორატორიები.

რადიოელექტრონიკის განყოფილებაში შედის: ფიზიკა-ტექნიკური, კიბერნეტიკული, რადიოტექნიკური და ავტომატიკა-ტელემექანიკის ლაბორატორიები; მათემატიკის კაბინეტი; სასწავლო რადიოსადგურები და ატს-ი; ლითონდამმუშავებელი სახელოსნო.

ტრანსპორტის განყოფილებაში შედის: რკინიგზისა და ქალაქის ტრანსპორტის, ავიასამოდელო და გემთსამოდელო ლაბორატორიები, კორდოლოში და აუზი მცურავი მოდელების გამოსაცდელად; მერქნის დამმუშავებელი სახელოსნო.

**შენიშვნა:** საჭიროების მიხედვით სასწავლო გეგმების შესაბამისად ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სანქციით, შესაძლებელია ახალი კაბინეტის, ლაბორატორიის ან განყოფილების ორგანიზაცია ან არსებულის რეორგანიზაცია.

4. სამეურნეო საჭიროებისათვის სადგურს აქვს ავტომანქანების სადგომი.

5. უშუალოდ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურის ლაბორატორიებში, კაბინეტებში და სახელოსნოებში ან სკოლებში, სკოლა ინტერნატებში ყალიბდება და მუშაობენ დამწყებთა, მაღალი ტიპის, თავისუფალ შემათა და სხვა პროფილირებული წრეები.

მათი ამოცანაა დააკმაყოფილონ პიონერთა და მოსწავლეთა ტექნიკის დაუფლებისადმი მზარდი ინტერესი. გაულრმავონ და გაუფართოონ მათ სკოლაში მიღებული ცოდნა.

6. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის წინააღმდეგ გაერთიანებულ მოსწავლეთა რიცხვი საშუალოდ უნდა შეადგენდეს 10—15 კაცს.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, როცა მუშაობის ხასიათის მიხედვით ხელმძღვანელს არ შეუძლია განახორციელოს წრის წევრებზე მიცემული დავალების ერთდროული კონტროლი და თვალყურის დევნება მოსწავლეთა მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების სრულ დაცვაზე, წრე იყოფა ქვეჯგუფებად.

#### IV. სადგურის ხელმძღვანელობა და მმართველობა

7. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გამგებლობაში და მუშაობს სკოლების სამმართველოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

8. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ალკვ ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. დირექტორს უნდა ჰქონდეს დამთავრებული უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და კარგად იცნობდეს სკოლის გარეშე მუშაობას.

დირექტორი პასუხისმგებელია სადგურის მთელ სასწავლო-საორგანიზაციო მუშაობაზე; საინსტრუქციო-მეთოდურ და ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობაზე; პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის კადრების შერჩევასა და განაწილებაზე.

9. დირექტორს ჰყავს მოადგილეები სასწავლო-მეთოდურ და ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგებში, რომელთაც დირექტორის წარდგენით ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

კრედიტების განმკარგულებელია სადგურის დირექტორი. დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის ფარგლებში დირექტორი ნიშნავს და ათავისუფლებს სადგურის ყველა მუშაკს, დირექტორის მოადგილეებისა და უფროსი ბუხჰალტრის გარდა.

10. ლაბორატორიების, კაბინეტების, სახელოსნოების და ბიბლიოთეკის სათავეში დგანან გამგეები სპეციალური განათლებისა და ბავშვებთან მუშაობის გამოცდილების მქონე პირებიდან, რომლებიც ინიშნებიან დირექტორის წარდგენით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

11. განყოფილების გამგებლობა ევალება განყოფილებაში შემავალ ლაბორატორიებში მომუშავე პერსონალის შემადგენლობიდან რომელიმე პირს.



12. მეთოდისტიკის მოვალეობაში შედის გეგმებისა და პროგნოზების შედგენა და დამუშავება, საწრეო მუშაობის ორგანიზაცია, სკოლის, სკოლის გარეშე დაწესებულებების საუკეთესო წესის მუშაობის განზოგადება, მეთოდურ საინსტრუქციო მასალების შედგენა, მოდელთა აღწერილობებისა და ნახაზების შედგენაზე ხელმძღვანელობა.

13. მასობრივი მუშაკების მოვალეობაში შედის საუბრების, შეხვედრების, შეკრებების, პროფილირებული კითხვა-პასუხების საღამოების, სამეცნიერო, მექანიკური კინოფილმებისა და ტექნიკური ექსკურსიების ორგანიზაცია, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებთან და სკოლებთან მჭიდრო კავშირი, წრეების დაკომპლექტება, მასობრივი ღონისძიებების მომზადება, ხელმძღვანელობა და ჩატარება.

14. განყოფილებების, ლაბორატორიების, კაბინეტებისა და სახელოსნოების გამგეების მოვალეობაში შედის: განყოფილებების, კაბინეტების, ლაბორატორიებისა და სახელოსნოების მუშაობაზე, აგრეთვე მათში ჩამოყალიბებულ წრეებზე ხელმძღვანელობის გაწევა და ორგანიზაცია. საუკეთესო მუშაობის განზოგადება ლაბორატორიის პროფილით, მეთოდური და საინსტრუქციო წერილების შედგენა; მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევა წრის ხელმძღვანელებზე, მასწავლებლებზე, პიონერ-ხელმძღვანელებზე.


**შენიშვნა:** ლაბორატორიის გამგეს შეუძლია იყოლიოს 3 წრე, რომელთა ხელმძღვანელობისთვის შრომის ანაზღაურება იწარმოებს საათების მიხედვით.

15. წრის ხელმძღვანელების მოვალეობაში შედის: მოსწავლეებთან მეცადინეობის ორგანიზაცია, მომზადება და ჩატარება; პიონერ-ინსტრუქტორების მომზადება; ტექნიკის დარგში საწრეო მუშაობის საკითხებზე მეთოდური დახმარების გაწევა სკოლებზე, სკოლა-ინტერნატებზე, საბავშვო სახლებსა და პიონერთა ბანაკებზე, საუკეთესო წრის მუშაობის გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და გავრცელება; მასობრივი მუშაობის ჩატარება.

16. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის მოვალეობას განსაზღვრავს სადგურის დირექტორი, გამომდინარე დაწესებულებების სპეციფიკის, მოცულობისა და მუშაობის თავისებურებებიდან.

17. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურთან მუშაობს პედაგოგიური საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, მოადგილე სასწავლო მეთოდურ ნაწილში, განყოფილებების,

ლაბორატორიების, კაბინეტებისა და სახელოსნოების გამგეობის მასობრივი მომუშავენი, მეთოდისტი, ბიბლიოთეკარები და სხვები ხელმძღვანელები.



პედაგოგიური საბჭო იხილავს სადგურის მუშაობის, განყოფილებების, ლაბორატორიების, კაბინეტების და სახელოსნოების გამგეების, აგრეთვე მასობრივი მომუშავეების, მეთოდისტის, ბიბლიოთეკარებისა და ცალკეული წრეების ხელმძღვანელების გეგმებსა და ანგარიშებს, შეისწავლის პიონერ-მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედების საუკეთესო მუშაობის გამოცდილების საკითხს.

18. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურთან იქმნება მეთოდური გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შედიან საუკეთესო სკოლების დირექტორები, პიონერ ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკები, რაციონალიზატორები და საწარმოთა მოწინავენი, პრესის, რადიოს, ტელევიზიის, მშობელთა და საზოგადოებათა წარმომადგენლები. მეთოდური გაერთიანების შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის მიერ.

მეთოდური საბჭოს მიზანია: დახმარება გაუწიოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის უკეთ ორგანიზაციისა და მატერიალურ-სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში.

19. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურთან იქმნება პიონერ-მოსწავლეთა დამხმარე საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს აქტიური დახმარება აღმოუჩინოს სადგურს ყველა ღონისძიების ჩატარებაში.

